მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება № 9

ქ.გორი , ხიდისთავი 27 თებერვალი 2019 წელი

ერთის მხრივ, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მიმოზა ღოლიჯაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ფ.პ. ნუგზარ ბალიაშვილის , (შემდგომში - მიმწოდებელი) სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია სატრანსპორტო მომსახურების , (სპეციალური საწვავის საზიდი მანქანით 3000 ლიტრი საწვავის ტრანსპორტირება) შესყიდვა (CPV:60181000) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 150 (ასორმოცდაათი) ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სკოლის დირექტორი მიმოზა ღოლიჯაშვილი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა

4.1. მომსახურების მიღების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - ქ. გორი, სოფ ხიდისთავი.

4.2. მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხარვეზის შემთხვევაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა. კერძოდ:

- ქ. გორიდან შპს სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის ა.გ.ს.-დან დიზელის საწვავის მოტანა.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლის დირექტორი მიმოზა ღოლიჯაშვილი.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

მუხლი 13. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 14. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლა
ს/კ 218047432
მის. : ქ. გორი სოფ. ხიდისთავი
ტელ: 577 92 25 08

საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ა GE71LB0121133316253000

დირექტორი **მიმოზა ღოლიჯაშვილი**

_____
(ხელმოწერა) ბ.ა

მიმწოდებელი:

ფ.პ. ნუგზარ ბალიაშვილი
ს/კ 43001029298 პ.მ. 12IA38648
მის.: ქ. გორი, მოსკოვის ქ. #1-1
ტელ.: 599 27 72 46

საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს თიბისი ბანკი
ბანკის კოდი TBCBGE22
ა/ა GE33TB7394445061600004

ფ.პ **ნუგზარ ბალიაშვილი**

_____
(ხელმოწერა)

მომსახურების მიღება – ჩაბარების

ქ. გორი , ხიდისთავი 27 თებერვალი 2019 წ.

აქტი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი,ერთის მხრივ წარმოდგენილი ფ.პ. ნუგზარ ბალიაშვილის (შემდგომში–„მიმწოდებელი“)სახით და მეორეს მხრივ, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლა (შემდგომში–„შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მიმოზა ღოლიჯაშვილის სახით, ვადასტურებთ, რომ 2019 წლის 27 თებერვალს დადებული #9 ხელშეკრულების გათვალისწინებით ქ. გორიდან შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის ა.გ.ს.- დან დიზელის საწვავის ტრანსპორტირება „მიმწოდებელმა“ ჩააბარა, ხოლო „შემსყიდველმა“ მიიღო და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.

№	**დასახელება**	**განზომილების ერთეული**	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი**	**საერთო**
1	შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის ა.გ.ს.- დან დიზელის საწვავის ტრანსპორტირება				150
სულ ღირებულება					150 ლარი

შესყიდული მომსახურების ღირებულებაა 150 (ას ორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარი. მათ შორის 117,60 ლარი ხელზე გასაცემი და 29,4 ლარი საშემოსავლო გადასახადი ბიუჯეტში შესატანი და 3 ლარი საპენსიო ფონდის 2%.

„მიმწოდებელი“ „შემსყიდველი“

ფ.პ. ნუგზარ ბალიაშვილი სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლა

დირექტორი: მიმოზა ღოლიჯაშვილი

_____ _____

(ხელის მოწერა) (ხელის მოწერა)